განცხადება
სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

2024 წლის 26 დეკემბერს, 12:00 საათზე ქ. თბილისში, ა. კალანდაძის ქ. №4-ში, მოწვეულია სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, შემდეგი დღის წესრიგით:

1. **„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სტატუსზე უარის თქმის (სტატუსის დაკარგვის) შესახებ.**

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია 2024 წლის 05 დეკემბერი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება აქვთ სააღრიცხვო დღისათვის.

საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილე პირთა რეგისტრაციის დაწყების დროა 2024 წლის 26 დეკემბერი, 11:00 საათი. საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მონაწილე პირთა რეგისტრაცია ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების ჩატარების ადგილის მისამართზე.

კრებაზე დასასწრებად დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის/ანგარიშიდან ამონაწერის მონაცემების საფუძველზე.

აქციონერის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების წარმოდგენა შესაძლებელია ასევე საზოგადოების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@greenig.ge საერთო კრების გახსნამდე და საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების (მათი წარმომადგენლების) რეგისტრაციამდე.

აქციონერთა საერთო კრების მასალების გაცნობა შესაძლებელია საზოგადოების ვებგვერდზე: www.greenig.ge

თქვენი უფლებამოსილების, საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის აქციათა საერთო რაოდენობის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან _ ს.ს. “საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი” (ლიცენზიის #70006, მისამართი: საქართველო, 0162, თბილისი, მოსაშვილის ქ. №11, ტელ: +995 32 222-53-51) და თქვენი კუთვნილი აქციების ანგარიშის მწარმოებლებთან.

თქვენ უფლებამოსილი ხართ ასევე, საზოგადოებას მოსთხოვოთ საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, თქვენი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა.

კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილია, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და გენერალურ დირექტორს და:
ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.
საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი.

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს
გენერალური დირექტორი
ეკა ცენტერაძე
04.12.2024 წ.

საქართველო, თბილისი 0160, ა. კალანდაძის ქ. №4
№ საიდენტიფიკაციო კოდი: 404990435
ოფისი: +995 32 224 44 34; ცხელი ხაზი: +995 32 224 44 54
info@greenig.ge / www.greenig.ge